საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 118/ს
30/05/2022

118-21-4-202205300933

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2018 წლის 16 აპრილს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობის“ გაყვანასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-247).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის მიზანია მდ. ხობისწყლის ხეობაში „ხობი 1“ და „ხობი 2“ ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვა. 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობი“ მოიცავს №1 საყრდენსა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ბალანსზე არსებული ქვესადგურის „ჯვარი 500/220“ პორტალს შორის მონაკვეთს. ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის სიგრძე შეადგენს 19,033 კილომეტრს.

„სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (401 644 მ²) ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში

(წალენჯიხის სატყეო უბნის, ჯვრისა და წალენჯიხის სატყეოების, ყოფილი საკოლმეურნეო ტყე და ჩხოროწყუს სატყეო უბნის, მუხურის სატყეოს, ყოფილი საკოლმეურნეო ტყე), ხოლო ელექტროგადამცემი ხაზის პირველი 11 საყრდენი - „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებული საიტის (სამეგრელო - „GE0000021“) საზღვრებში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობის“ ბუფერის კორექტირება და მისი სიგანისა და ფართობის ნაცვლად საპროექტო საყრდენებისა, განაპირა საყრდენებიდან გადათვლა, რაც შესაბამისად გამოიწვევს ეგხ-ის ბუფერის სიგანისა და ფართობის გაზრდას. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერის სიგანე შეადგენდა 60 მეტრს, ხოლო ფართობი 1 176 721 მ²-ს. ცვლილების შემდგომ, ბუფერის სიგანე გახდება 63,2 მეტრი (გაიზრდება 3,2 მეტრით), ხოლო ფართობი - 1 205 777 მ² (გაიზრდება 29,057 მ²-ით). გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ყველა სხვა პარამეტრი - საყრდენების განთავსების ადგილები, საყრდენების რაოდენობა, დერეფნის მარშრუტი, საქმიანობის მახასიათებლები და მშენებლობის/ექსპლუატაციის პირობები დარჩება უცვლელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებულია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სახელმწიფო ტყის საზღვრებში მოქცეული ფართობის გაზრდასთან. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის საზღვრებში მოქცეული ფართობი შეადგენდა 401 644 მ²-ს. ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერის სიგანისა და ფართობის გაზრდის შემდგომ, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სახელმწიფო ტყის საზღვრებში მოქცეული ფართობი გაიზრდება 16 912 მ²-ით და გახდება 418 556 მ². ამასთან, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს საყრდენების რაოდენობისა და განთავსების ადგილმდებარეობის ცვლილებას, „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებული საიტის (სამეგრელო - „GE0000021“) საზღვრებში მოქცეული საყრდენების რაოდენობა და ადგილმდებარეობა დარჩება უცვლელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს საპროექტო დერეფანში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეთა ინდივიდების რაოდენობის გაზრდას. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, საპროექტო დერეფანში დაგეგმილი იყო 3 297 ძირი ხის მოჭრა (1 898 ძირი თხმელა და 414 ძირი რცხილა), ხოლო ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერის დაკორექტირების შემდგომ, მოსაჭრელი ხეების რაოდენობა გაიზარდა 100 ერთეულით (81 ძირი თხმელა და 19 ძირი რცხილა) და შეადგინა 3 397 ძირი. დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული „წითელი ნუსხის“ სახეობებზე ზემოქმედებასთან, კერძოდ, საპროექტო

დერეფანში მოსაჭრელი კაკლისა (Juglans regia) და წაბლის (Castanea sativa) რაოდენობა დარჩება უცვლელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, კერძოდ, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, წყლის გარემოზე და ნიადაგზე, ასევე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების გაზრდასთან. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ასევე არ უკავშირდება დამატებითი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, ნარჩენების წარმოქმნას და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, გადაიგზავნა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2018 წლის 16 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2018 წლის 16 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;

4. შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“ ვალდებულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო